განკარგულება

პროექტი

ქ.ახმეტა

ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების 2019 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის და ,,ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის N319-ე დადგენილების მე-8 მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების 2019 წლის სასწავლო გეგმა დანართის შესაბამისად.
2. მუნიციპალიტეტის წლიური სასწავლო გეგმა გაეგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ,,ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრს” და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს- საჯარო სამსახურის ბიუროს, მოხელეთა სწავლების საჭიროებათა კვლევისა და სისტემატიზაციისთვის.
3. განკარგულება გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ.ახმეტა, ჭავჭავაძის 101).

დანართი

ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების 2019 წლის სასწავლო გეგმა

N	სწავლების სფერო	მოხელეთა რაოდენობა	სწავლების ფორმა	სწავლების პერიოდი/ კვარტალი	შესასწავლი საკითხები აღნიშნულ სწავლების სფეროში	დაფინანსება ბიუჯეტიდან (ლარი)	დაფინასება სხვა წყაროდან
1	ფინანსური მართვა და ბუღალტერია	4	მოკლევადიანი ტრენინგი	II კვარტალი		2000	
2	ადმინისტრაციული წარმოება	3	მოკლევადიანი ტრენინგი	III კვარტალი		1500	
3	სამართლებრივი აქტის მომზადების ტექნიკები	3	მოკლევადიანი ტრენინგი	I კვარტალი		1500	
4	მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა	1	მოკლევადიანი ტრენინგი	I კვარტალი		500	
5	სარჩელის მომზადების ტექნიკა და წარმომადგენლობა სასამართლოში	2	მოკლევადიანი ტრენინგი	I კვარტალი		1000	
6	მშენებლობის ნებართვის გაცემა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება	4	მოკლევადიანი ტრენინგი	I კვარტალი		2000	
7	სოციალური დაცვის და ჯანდაცვის საკითხები მუნიციპალიტეტში	2	მოკლევადიანი ტრენინგი	II კვარტალი		900	

8	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	1	მოკლევადიანი ტრენინგი	III კვარტალი		500	
9	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	2	მოკლევადიანი ტრენინგი	IV კვარტალი		1000	
10	საზოგადოებასთან ურთიერთობა	2	მოკლევადიანი ტრენინგი	II- III კვარტალი		1000	
11	შიდა აუდიტი	2	მოკლევადიანი ტრენინგი	IV კვარტალი		1000	
12	პროექტის ციკლის მართვა	4	მოკლევადიანი ტრენინგი	IV კვარტალი		2000	
13	კომპიუტერული პროგრამები (Word, Excell, Power Point და სხვა)	2	მოკლევადიანი ტრენინგი	III კვარტალი		1000	
14	სამხედრო გაწვევის საკითხები	2	მოკლევადიანი ტრენინგი	II- III კვარტალი		1000	
15	კულტურის სფეროს მართვა	1	მოკლევადიანი ტრენინგი	III კვარტალი		400	
16	საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების და მოხელეთა შეფასების და კარიერული ზრდის საკითხები	2	მოკლევადიანი ტრენინგი	I კვარტალი		900	
	სულ	**37**				18 200	